პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 90 (7651)

12 მაისი შაბათი, 1984 წ.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

მასწავლებელი [illegible] რომ [illegible]
(1-ლი მე-2 გვ.)

იმ დღეს რეკორდზე არავინ ფიქრობდა
(1-ლი მე-4 გვ)

თამაშობენ საქართველოს გუნდები
(მე-3 გვ.)

მახარაძის ბასრი ხმალი
(მე-4 გვ.)

ინფორმაცია, ინფორმაცია...
(მე-4 გვ.)

# სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

**სსრ კავშირის** ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ყოველმხრივ გააანალიზა ლოს-ანჯელესის XXIII ოლიმპიური თამაშების ირგვლივ შექმნილი ვითარება და განიხილა ამ ასპარეზობაში საბჭოთა სპორტული დელეგაციის მონაწილეობის საკითხი.

როგორც ცნობილია, 1984 წლის 10 აპრილის განცხადებაში სსრ კავშირის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვა თამაშების ორგანიზატორთა მიერ ოლიმპიური ქარტიის წესების უხეში დარღვევისა და იმ ანტისაბჭოური კამპანიის გამო, რაც აშშ-ის რეაქციულმა წრეებმა გააჩაღეს ოფიციალური ხელისუფლების წაყრუებით და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ) მიმართა თხოვნით, განეხილა შექმნილი ვითარება.

ამა წლის 24 აპრილს სოკ-მა თავის სხდომაზე აღიარა სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პოზიციის კანონზომიერება და საფუძვლიანობა. მაგრამ აშშ-ის ხელისუფლება ანგარიშს არ უწევს სოკ-ის შეხედულებას და კვლავ უხეშად ერევა ისეთ საქმეებში, რაც მხოლოდ და მხოლოდ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის კომპეტენციაში შედის. ცნობილია, რომ წლევანდელი ოლიმპიადისათვის მზადების პირველივე დღეებიდან ამერიკის ადმინისტრაცია თამაშების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების კურსს დაადგა. შეერთებულ შტატებში ყოველნაირად აღვივებენ შოვინისტურ განწყობილებებს და აძლიერებენ ანტისაბჭოურ ისტერიას. ამერიკის ხელისუფლების წაყრუებით საგრძნობლად გააქტიურდნენ სხვადასხვა ჯურის ექსტრემისტული ორგანიზაციები და ჯგუფები, რომლებიც არ მალავენ, რომ მიზნად ისახავენ მათ ქვეყანაში სსრ კავშირის დელეგაციის სტუმრობისა და საბჭოთა სპორტსმენთა გამოსვლებისთვის „აუტანელი პირობების" შექმნას. მზადდება სსრ კავშირის მიმართ მტრული პოლიტიკური დემონსტრაციები, სსრ კავშირის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, საბჭოთა სპორტსმენებსა და ოფიციალურ პირებს აშკარად ემუქრებიან ფიზიკური ანგარიშსწორებით. აშშ-ის ადმინისტრაცია მიღებას უწყობს ანტისაბჭოური ანტისოციალისტური ორგანიზაციების მეთაურებს. მათ საქმიანობას ფართო რეკლამას უწევენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. აშშ-ის ხელისუფლება და ოლიმპიადის ორგანიზატორები ამ კამპანიის გასამართლებლად ათასგვარ საკანონმდებლო აქტებს იშველიებენ.

ამ ბოლო ხანს ვაშინგტონი აცხადებს, რომ მზად არის დაიცვას ოლიმპიური ქარტიის წესები. ამერიკის მხარის პრაქტიკული მოქმედება კი იმას მოწმობს, რომ აშშ-ის ხელისუფლება სულაც არ აპირებს უზრუნველყოს ყველა სპორტსმენის უსაფრთხოება, პატივი სცეს მათ უფლებებსა და ადამიანურ ღირსებებს, შექმნას ნორმალური პირობები თამაშების ჩატარებისათვის.

ამერიკის ხელისუფლების ყოვლად უცერემონიო მოპყრობა ოლიმპიური ქარტიის მიმართ ოლიმპიური მოძრაობის იდეალებისა და ტრადიციების უხეში ხელყოფა მიმართულია უშუალოდ მისი ჩაშლისკენ. ამ გეზს, რომელიც ადრევე მკაფიოდ გამოიკვეთა დღესაც განუხრელად იცავენ.

ასეთ პირობებში სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იძულებულია განაცხადოს, რომ ლოს-ანჯელესის XXIII ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენთა მონაწილეობა შეუძლებლად მიაჩნია. სხვაგვარად მოქცევა ამერიკის ხელისუფლებისა და თამაშების ორგანიზატორთა ანტიოლიმპიური მოქმედების მოწონება იქნებოდა.

ამგვარი გადაწყვეტილების მიღებით ჩვენ არამც და არამც არ გვსურს ჩრდილი მივაყენოთ ამერიკის საზოგადოებრიობას, იმ კეთილ გრძნობებს, რაც ამ ორი ქვეყნის სპორტსმენებს ერთმანეთთან აკავშირებს.

საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ჩვენი ქვეყნის სპორტული ორგანიზაციები კვლავაც მხარს დაუჭერენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის, საერთაშორისო სპორტული ფედერაციების, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის ყოველ ღონისძიებას, რომელიც მიმართული იქნება საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის განმტკიცებისაკენ, იბრძოლებენ ამ მოძრაობის სიწმინდისა და ერთიანობის დასაცავად.

**მიღებულია სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პლენარულ სხდომაზე 1984 წლის 8 მაისს.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# საქმე საბოლოო შედეგით ფასდება

**გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ტურიზმის შემდგომი განვითარების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის სხდომა. განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სპორტულ სკოლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 თებერვლის დადგენილება „რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ".**

## წარმატებათა მიღმა

**სულიერად** და ფიზიკურად ჯანსაღი, ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდა თაობის აღზრდა მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის უპირველესი საზრუნავია. ეს დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანა, რომელიც მტკიცე სოციალურ და ეკონომიკურ საფუძვლებს ეყრდნობა, წარმატებით ხორციელდება. მაგრამ, როგორც სამუშაო ჯგუფის სხდომაზე აღინიშნა, რაც გაკეთდა, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ჯერ კიდევ არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გამოკვეთილია პრობლემათა გადაჭრის რეალური გზა. საერთო შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა შორის ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ხარისხი. თბილისის ზოგიერთი რაიონი, როგორც სხდომაზე ითქვა, წინსვლის მაგიერ ჩამორჩა. მაგალითად დაასახელეს ორჯონიკიძის რაიონი (განათლების განყოფილების გამგე ნ. სოსელია, სპორტული სკოლის დირექტორი გ. გუგუშვილი), სადაც საგრძნობლად იკლო მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვმა. შარშან ამ რაიონში არ შესრულდა მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა და მასობრივი თანრიგების სპორტსმენთა მომზადების ვალდებულება. ანალოგიური მდგომარეობაა გლდანის რაიონში. ბევრგან კვლავ ინდიფერენტულია ფიზკულტურისა და სპორტისადმი არა მარტო მოსწავლეთა, არამედ პედაგოგებისა და მშობლების დამოკიდებულება, რასაც ურიგდებიან განათლების ორგანოების, ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ეს მით უფრო შემაშფოთებელია, რომ გულგრილობის შედეგებს საბოლოო ანგარიშით გაუარესებამდე მივყავართ. ყოვლად მიუტევებელია და ამაში ბრალი ყველას მიუძღვის, რომ თბილისში ხუთი ათასზე მეტი სუსტი ჯანმრთელობის მოზარდია აღრიცხული. გულისწყრომის საფუძველს იძლევა ის ფაქტიც, რომ ჯერჯერობით საგანგებო გამაჯანსაღებელი მეცადინეობები მხოლოდ 687 ბავშვს უტარდება. შეიძლებოდა თუ არა თავიდან აგვეცილებინა ასეთი სავალალო შედეგები? ცხადია, შეიძლებოდა. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მეტი მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა გამოგვეჩინა მათ მიმართ, ვისაც ევალება განუხრელად შეასრულოს რესპუბლიკის განათლებისა და ჯანმრთელობის სამინისტროების ერთობლივი დადგენილება „სუსტი ჯანმრთელობის მოსწავლეებთან გამაჯანსაღებელი მეცადინეობების ჩატარების შესახებ". ეს დადგენილება დიდი ხნის წინათაა მიღებული, მაგრამ კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მათი შრომის დამატებითი ანაზღაურების მოსაგვარებლად მხოლოდ წელს გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები.

აღინიშნა, რომ ჭიანურდება სკოლების მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცების საკითხის მოგვარება. თბილისის 176 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან 136 ორცვლიანია, 6 — სამცვლიანი. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლების უმრავლესობაში პრაქტიკულად შეუძლებელია კლასგარეშე მეცადინეობათა ჩატარება. შეფი ორგანიზაციები, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ, არ ეხმარებიან სკოლებს სპორტული ბაზების ქსელის შექმნა-გაფართოებაში. სავსებით სამართლიანია სკოლების მოთხოვნა, რომ მათ კვლავ დაუბრუნონ სპორტული ინვენტარის უნაღდო ანგარიშსწორებით შეძენის უფლება.

## მასწავლებელი ყურადღებას ითხოვს

**სასკოლო** ფიზკულტურა რთული მექანიზმია. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს დიდი შრომა სჭირდება, რომ ამ მექანიზმმა შეუფერხებლად, გამართულად იმუშაოს. თუმცა მასწავლებელი მარტო არ უნდა იყოს, ამ უაღრესად მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო საქმეში დღესაც ძველი შეხედულება ბატონობს: მთელი სასკოლო, კლასგარეშე, და სკოლისგარეშე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მხოლოდ და მხოლოდ ამ საგნის მასწავლებელს აწევს მხრებზე. სამუშაო ჯგუფის სხდომამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ არ სრულდება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდის დებულების" ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც მთელი სასკოლო ფიზკულტურის მართვასა და პრაქტიკულ მუშაობაში პედაგოგიური კოლექტივი უნდა მონაწილეობდეს, ხოლო საერთო პასუხისმგებლობა სკოლის დირექტორს ეკისრება. სხდომაზე ისიც ითქვა, რომ მოთხოვნები ფიზკულტურის მასწავლებლის მიმართ ხშირად არარეალურია, არ შეესაბამება სკოლის პირობებსა და შესაძლებლობებს. ამას კი მხოლოდ ზიანი მოაქვს. გამოითქვა საყვედური იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არაფერს აკეთებენ ფიზკულტურის მასწავლებელთა წახალისებისა და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისათვის. ყოველივე ეს გულს უტეხს მასწავლებელს და სკოლიდან კადრების დენადობა თანდათან იზრდება. მოიტანეს კონკრეტული ფაქტიც: 1982 წელს თბილისის სკოლებიდან წავიდა 28 ფიზკულტურის მასწავლებელი, შარშან 59.

## დეფექტები აუზზე

**ცურვის** სწავლების საკითხს, — ითქვა სამუშაო ჯგუფის სხდომაზე — თითქოს სერიოზული ყურადღება ექცევა. გაფართოვდა საცურაო აუზების ქსელი, მაგრამ მდგომარეობის არსებით გაუმჯობ-

(დასასრული მე-2 გვ.)



# პირველი ნაცნობობა რეკორდსმენთან

## „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი" ველოსპორტში

**ველოსიპედისტთა** საერთაშორისო ტურნირის მონაწილეები თბილისში პირდაპირ ერევნიდან ჩამოვიდნენ. აქ მათ შეუერთდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძლიერი კოლექტივი სპრინტერთა შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული ლუტც ჰესლიჰის მეთაურობით და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სერგეი კოპილოვი, რომლებსაც „სომხეთის ტელევიზიის დიდი პრიზის" გათამაშებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ერევანში მთავარ პრიზს, როგორც ცნობილია, ამერიკელი მარკ გორსკი დაეუფლა (შარშანდელი კლასიფიკაციით იგი მსოფლიოს მეხუთე სპრინტერად ითვლება). „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის" გათამაშებაში ამ წარმატების გამეორება მას ალბათ გაუჭირდება იმ უბრალო მიზეზით, რომ შემადგენლობა თბილისში უფრო ძლიერიც არის და უფრო ტიტულოვანიც. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელმა თავისი ამბიციები ამჯერად მსოფლიო სპრინტის აღიარებულ ლიდერებთან ბრძოლაში უნდა დაამტკიცოს. გორსკის ჰყავს უხერხული მეტოქეები, ისევე როგორც შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორებს საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგე ეყოლებათ ამერიკელის სახით.

პირველი „ნაცნობობა" მომავალ კონკურენტებს შორის უკვე შედგა — გუშინწინ მათ ძალები მოსინჯეს 200-მეტრიან დის-

(დასასრული მე-4 გვ.)

**სურათზე:** ოთარ მჭედლიშვილი დისტანციაზე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# საქმე საბოლოო შედეგით ფასდება

**დასასრული**

ესებას მაინც ვერ მივაღწიეთ. თბილისის საცურაო აუზების უმეტესობა არ მუშაობს, რასაც ურიგდებიან განათლების რაიონული განყოფილებები და სკოლის ხელმძღვანელები. ვერ დავემდურებით კიროვისა და პირველი მაისის სასკოლათშორისო საცურაო აუზის ხელმძღვანელებს, რომელთაც, მიუხედავად მშენებელთა მიერ დატოვებული ხარვეზებისა, შეძლეს ამ ბაზების მწყობრში ჩაყენება. ამჟამად სრული დატვირთვით მუშაობს, აგრეთვე ბავშვთა და მოზარდთა წყალბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლის აუზი და საჭყუმპალაო საირმის ქუჩაზე, მაგრამ იქვე 50-მეტრიანი საცურაო აუზის მოპირკეთება და სამონტაჟო სამუშაოები კვლავ ჭიანურდება. რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მე-2 ტრესტის ხელმძღვანელებთან ერთად ამაში ბრალი მიუძღვის თბილისის განათლების სამმართველოს, რომელმაც სათანადო ყურადღება ვერ გამოიჩინა ამ ობიექტისადმი. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დაისვა საკითხი, რომ შესაბამისმა ორგანიზაციებმა დროულად იზრუნონ აუზების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად. თითოეული აუზის საქმიანობა უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენმა მოზარდმა შეისწავლა იქ ცურვა და ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივი. მშენებლებმა კი უმოკლეს დროში უნდა გამოასწორონ აუზებზე დატოვებული ხარვეზები.

## როცა დაინტერესება არის და... არ არის

**სამუშაო** ჯგუფის სხდომაზე აღინიშნა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები. ითქვა, რომ სპორტული სკოლების მუშაობის სტილი და მეთოდები აშკარად მოძველებულია, რაც საგრძნობლად აბრკოლებს ბევრ სახეობაში საიმედო რეზერვის აღზრდა-დაოსტატებას. სპორტული სკოლების ნაკლებეფექტური მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ დღემდე არ მოხერხდა ბაზების საკითხის გადაჭრა. თხუთმეტი სკოლიდან მხოლოდ ორს (ჭიდაობისა და ხელბურთის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლებს) აქვს შესაფერისი სპორტული ბაზა. ვერ გადაწყდა ოლიმპიური რეზერვის ცენტრალური ტანვარჯიშული სპორტული სკოლის რეკონსტრუქციის საკითხი, საწყლოსნო სახეობების სპორტსკოლის კომპლექსის რეკონსტრუქცია კი უსაშველოდ ჭიანურდება.

ამ რამდენიმე ხნის წინ სამუშაო ჯგუფმა საგანგებოდ იმსჯელა მძლეოსნობის სპორტული სკოლის საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. სხდომის მონაწილეები კვლავ დაუბრუნდნენ ამ საკითხს. აღინიშნა, რომ სკოლის მწვრთნელთა შემადგენლობა გადახალისდა, ჯგუფები დაკომპლექტდა დებულების მოთხოვნების მკაცრად დაცვით. 121-ე საშუალო სკოლაში დამატებით გაიხსნა ხუთი სპეცკლასი. თუ რამდენად დადებითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს სპორტული სკოლისადმი რესპუბლიკის სპორტკომიტეტისა და სპორტული საზოგადოებების ყურადღებას, ნათლად გვიჩვენებს მაგალითი ამ სპორტული სკოლისა, რომლის გუნდმაც „პიონერულ ოთხჭიდში" საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. იგივე გუნდი უნგრეთში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში IV ადგილზე გავიდა. სკოლის 26 მწვრთნელმა საკავშირო სემინარზე აიმაღლა კვალიფიკაცია. სპორტსკოლის 22 აღსაზრდელი დღეს უკვე რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის კანდიდატია. თუმცა ყველა პრობლემა ჯერ არც ამ სკოლაშია გადაჭრილი.

სხდომაზე კრიტიკულად შეფასდა აგრეთვე საფეხბურთო სკოლის — „ავაზის" მუშაობა.

## სისტემას ინიციატივიანი ადამიანები ქმნიან

**სამუშაო** ჯგუფის სხდომამ მკაცრად, მაგრამ ობიექტურად იმსჯელა თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დღევანდელ მდგომარეობაზე. საბოლოო ანგარიშით ეს საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. იქვე აღინიშნა, რომ ამ უბანზე მუშაობის სასიკეთო გარდაქმნისათვის რეალური საფუძვლები არსებობს. ხაზგასმით ითქვა, რომ ბოლო ხანს სხვადასხვა ინსტანციებში კომპეტენტურად წყდება ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. მაგალითად, ნაყოფიერად მუშაობს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების რესპუბლიკური შტაბი, რომელიც განათლების სამინისტროსთანაა შექმნილი. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის, განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთიანი პოზიცია მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში ნათლად გამოიკვეთა საერთო საქმის სასიკეთოდ. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით პირველად და საშუალო რგოლზე, სადაც მუშაკთა უმეტესობა ინიციატივას არ იჩენს და მუდამ სხვისგან ელის მითითებას, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მტკივნეული, საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას. მიზეზი ის არის, რომ ხშირად მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მნიშვნელოვან საკითხებს მხოლოდ განათლების განყოფილების მეთოდისტი წყვეტს.

სამუშაო ჯგუფის სხდომამ განათლების ორგანოების მიუტევებელ შეცდომად მიიჩნია ის, რომ ფიზკულტურის მასწავლებელი ხშირად იძულებული ხდება სკოლიდან სხვაგან წავიდეს სამუშაოდ. დღის წესრიგში კვლავ დგას ბავშვთა ფიზკულტურისა და სპორტის მართვის ერთიანი, მწყობრი სისტემის შემუშავება. ლაპარაკია გონივრულ, ყოველმხრივ გაანალიზებულ სისტემაზე, რომლის მამოძრავებელი ძალა ისევ და ისევ თითოეული მუშაკის პირადი ინიციატივა იქნება. სხდომაზე სავსებით სამართლიანად ითქვა ისიც, რომ ბავშვთა და მოზარდთა სპორტის ძირითადი კერა თბილისია. ამიტომ მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდების წევრთა 90-92 პროცენტი დედაქალაქზე მოდის. დაისვა საკითხი, რომ უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული გახანგრძლივებული დღის სკოლის შესაძლებლობები. განათლებისა და სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები, რათა დაიხვეწოს ამ სფეროს მართვის სტილი და მეთოდები.

სამუშაო ჯგუფმა ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ვერც ბავშვთა, ვერც „დიდი სპორტი" საიმედო ცვლას ვერ მიიღებს, თუ თითოეულ რგოლში არ ამაღლდა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის გამო, რომ ამ მიმართებით გაწეული მუშაობის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო შედეგი უნდა იყოს. ეს მოთხოვნა სათანადოდ უნდა შეაფასონ და დასკვნები გამოიტანონ განათლების ორგანოებმა, ფიზკულტურულ-სპორტულმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

• • •

**სამუშაო ჯგუფის სხდომამ იმსჯელა აგრეთვე ფეხბურთში საქართველოს პირველობის გათამაშების მატჩებზე მომხდარი უდისციპლინობის ფაქტებზე და სტადიონებზე საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზულ დარღვევებზე.**

**იმ ღონისძიებებთან ერთად, რაც ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში მასობრივ-სპორტულ შეჯიბრებებზე საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად გატარდა, სამუშაო ჯგუფის სხდომაზე აღინიშნა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებიც, რომლებიც ჯერ კიდევ შეინიშნება სხვადასხვა ასპარეზობის ჩატარებისას. ეს განსაკუთრებით ითქმის ფეხბურთში საქართველოს პირველობის მატჩებზე.**

## სტადიონს წესრიგი ამშვენებს

**ზ**ოგ ქალაქსა და რაიონში საფეხბურთო მატჩები კვლავ კონტროლისა და ყურადღების გარეშე ეწყობა. შეხვედრები ტარდება ტექნიკურად გაუმართავ და მოუწყობელ მოედნებზე, ხშირ შემთხვევაში მატჩებს არ ესწრებიან საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ორგანოების წარმომადგენლები, სპორტული კომიტეტების თავმჯდომარეები, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, რაც ხელს უწყობს უდისციპლინობასა და უხეშობას.

რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატებში კვლავ გვხვდება არაკვალიფიციური და არაობიექტური მსაჯობის ფაქტები: მატჩები ადგილებზე ზოგჯერ აუტანელ ატმოსფეროში ტარდება, ხშირია კინკლაობისა და ჩხუბის შემთხვევები, რაზედაც უკვე დაიწერა პრესაში.

სამუშაო ჯგუფის სხდომამ ხაზგასმით მიუთითა, რომ, მიუხედავად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო მითითებებისა მასობრივი სანახაობითი და განსაკუთრებით საფეხბურთო მატჩების ჩატარებისას მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თაობაზე, უმეტესწილად ამგვარ ღონისძიებებს არ ესწრებიან შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლები. მათ არ გააჩნიათ არავითარი სისტემა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად.

ცნობად იქნა მიღებული, რომ ინციდენტთა ნაწილი, ფეხბურთელთა მხრიდან წესრიგის დარღვევის ფაქტები განიხილა საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ. მიღებულია გარკვეული დისციპლინარული ზომებიც. მაგრამ ითქვა ისიც, რომ სპორტულ-ტექნიკური კომისია ზედმეტ ლოიალობას იჩენს, მთელი პრინციპულობით არ აფასებს ცალკეულ ფაქტებს.

ყოვლად გაუმართლებელი ლიბერალიზმის გამო მსგავსი შემთხვევები კვლავ მეორდება.

მოუთმენელია ისიც, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული და სპორტული ორგანიზაციები არ მიმართავენ ქმედით ღონისძიებებს მსგავსი მოვლენების აღსაკვეთად.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროც არ იღებს ჯეროვან ზომებს, პრინციპულ შეფასებას არ აძლევს იმ ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, რომლებიც დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ, თავიანთი პასიურობით ხელს უწყობენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე უწესრიგობას, ხულიგნობას და სხვა მახინჯ მოვლენებს.

სამუშაო ჯგუფის სხდომამ ამ საკითხთან დაკავშირებით მოისმინა რესპუბლიკის ცალკეული რაიონების პარტიის რაიკომების ინფორმაცია იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც ადგილებზე გატარდა გუნდებში და სტადიონებზე უდისციპლინობის აღსაკვეთად. ითქვა, რომ მაიაკოვსკის „საირმის" გუნდის მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს ა. ხელაძე, კოლექტივმა თავისი რიგებიდან გარიცხა ფეხბურთელები ვ. არქანია და ზ. კვირიკაძე, კაპიტნობიდან გადაირჩიეს დ. ხიზანიშვილი. [illegible] სასჯელი დაედო რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ვ. ფერაძეს.

ფეხბურთელთა არასპორტული საქციელის შესახებ იმსჯელა გორის „ქართლის" გუნდის კრებამ, სადაც მკაცრად გაკიცხეს მოთამაშეები ს. ქარელიძე და მ. გაგლოშვილი. რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის თ. ქიმერიძის საკითხს მისი გამოჯანმრთელების შემდეგ პარტიის რაიკომი განიხილავს. სამუშაო ჯგუფის სხდომამ გორის რაიონის ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ გორის „ქართლისა" და საჩხერის „ჩიხურის" მატჩს არ ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკები. მატჩზე 15 წუთით დაიგვიანეს სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლებმა.

საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომთან არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის სხდომაზე წულუკიძის „იმერეთისა" და გაგრის „დინამოს" შეხვედრაში დაშვებული უხეშობისათვის მკაცრი სასჯელი დაედოთ „იმერეთის" ფეხბურთელებს და იმ პასუხისმგებელ მუშაკებს, ვისაც ევალებოდა თამაშის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება. ხუთი თამაშით დისკვალიფიცირებულია და გუნდში პირობითაა დატოვებული ვ. ბერძენიშვილი, ხოლო დ. დანგაძე გარიცხულია კოლექტივიდან. მწვრთნელ ჯ. კუპუხიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. მკაცრად არიან გაფრთხილებული სპორტკომიტეტის, კომკავშირის რაიკომისა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები. გუნდში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისრათ კოლექტივზე მიმაგრებულ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებელ მუშაკებს, ტარდება ღონისძიებები, რათა სტადიონი გადაიქცეს მშრომელთა და ახალგაზრდობის კულტურული დასვენების კერად.

სამუშაო ჯგუფის სხდომა არ დააკმაყოფილა თიანეთელთა ინფორმაციამ. ჩათვალეს, რომ რაიონის ხელმძღვანელობას გადამჭრელი ღონისძიებები არ გაუტარებია სტადიონზე წესრიგის დასამყარებლად. დაბალია მაყურებლებთან აღმზრდელობითი მუშაობის დონე, რასაც მოჰყვა წესრიგის დარღვევა ადგილობრივი „იორისა" და მარნეულის „ალგეთის" ფეხბურთელთა შეხვედრის დროს.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, როგორც სამუშაო ჯგუფის სხდომაზე აღინიშნა, მეტად უნდა გაამწვავონ და საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად აქციონ მაყურებლებისა თუ ფეხბურთელების საქციელი, რომლებიც თავიანთი უხამსობით ჩირქს სცხებენ საბჭოთა ადამიანისა და სპორტსმენის სახელს, განუზომელ ზიანს აყენებენ მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის საქმეს.

---

**სპეციალისტის ტრიბუნა**

# წარმატებაზე ფიქრით

**რა დასამალია, თბილისში სულ ახლახან დამთავრებულ ტურნირებს — იუნიორთა საერთაშორისო შეჯიბრებას „გრან-პრის" პრიზზე და საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ლეჟავას მემორიალს, მიუხედავად მათი თავისთავად საკმაოდ მაღალი დანიშნულებისა, ჩვენ, პირველ ყოვლისა, უფრო დიდი და პასუხსაგები ასპარეზობებისათვის მზადების თვალსაზრისით მივუდგებით. თუ ქრონოლოგიას გავყვებით, ესაა, უწინარეს ყოვლისა, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, მერე — ახალგაზრდული სპორტული თამაშები და ბოლოს — სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა.**

მზადება ამ სამი მნიშვნელოვანი შეჯიბრებისათვის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების (ჭაბუკთა და გოგონათა) ჩოგბურთელებმა გასული წლის სექტემბრიდან დაიწყეს. ეს გუნდები ფაქტიურად რესპუბლიკის მთავარ ნაკრებს წარმოადგენენ, ვინაიდან „დიდი" გუნდი დღეს ჩვენთან არ არსებობს.

საერთაშორისო ტურნირში ქართველი სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ, ხოლო ვლადიმერ გაბრიჩიძემ დამაჯერებლად მოიგო ერთეულთა შეჯიბრება.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა ჩოგბურთელებმა განვლილ ბრძოლებში არც ისე სახარბიელო შთაბეჭდილება დატოვეს. კი მაგრამ, გაბრი-



ლი. დიახ, ეს ორი ნიჭიერი ჩოგბურთელი დღეისათვის საუკეთესოა მთელ საბჭოთა კავშირში თავის ასაკში. მაგრამ საქმე ისაა, რომ მომავალ ბატალიებში (განსაკუთრებით ხალხთა სპარტაკიადაზე) მათ გაცილებით უფროს (ორი და მეტი წლით) და ძლიერ მეტოქეებთან მოუწევთ შეხვედრა. ამრიგად, ისინი კიდევ უფრო რთული ამოცანის წინაშე დადგებიან.

ჩემთვის, მაგალითად, გაუგებარი იყო, რატომ დაიმალა გაბრიჩიძე — მეტრეველის წყვილი, რომელსაც სულ მალე მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მოუწევს რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა. ასევე მესხის მეწყვილეც რომელიმე ქართველი ჩოგბურთელი უნდა ყოფილიყო (ვთქვათ, ეკა თოხაძე, ირინე გერაძე, ხათუნა ტრაპაიძე და ა. შ.). არ შეიძლება კმაყოფილი იყო რესპუბლიკის ჩოგბურთელთა ფიზიკური კონდიციებით. ეტყობა, მოსამზადებელ პერიოდში ამ მხრივ შეცდომები იყო დაშვებული — მოისუსტებდა საერთო კონტროლი ცალკეული მოთამაშეების მზადებაზე, ზოგიერთმა მათგანმა საერთოდ უგულებელყო შეკრება. იქნებ ამის ბრალიც იყო შერეულ წყვილთა ფინალში იმავე გაბრიჩიძისა და მესხის უხეირო თამაში. მაგრამ აქ, ჩემი აზრით, მარტო დაღლილობამ როდი განაპირობა მარცხი. გეთანხმებით, რომ ერთ დღეში ოთხი შეხვედრის ჩატარება იოლი საქმე არ არის. მაგრამ მათ ხომ ხალხთა სპარტაკიადაზე „საჩოგბურთო მარათონის" ჩატარება მოუხდებათ, თანაც ბევრად უფრო ძლიერ მეტოქესთან. სიტყვამ მოიტანა და შეგახსენებთ, რომ დიდ სპარტაკიადაზე ალექსანდრე მეტრეველს, რენა აბჟანდაძეს, ირინა რიაზანოვას და მეც სიცხიანებსაც გვითამაშია და დაშავებულსაც. გვითამაშია მთელი რვა-ცხრა საათი, რაღაც თხუთმეტწუთიანი შესვენებით. მეტრეველს, მაგალითად, ბოლოსწინა სპარტაკიადაზე ფეხი გასიებული ჰქონდა, მაგრამ წუთითაც არ დაუხევია უკან. კარგად გვესმოდა, რომ თავის გასართობად კი არ ვთამაშობდით, არამედ სპორტული რესპუბლიკის სახელისათვის, მისი მაღალი პრესტიჟისათვის ვიბრძოდით!

ბოლო დროს საიმედო თაობა გამოჩნდა, მაგრამ არც ადრე გვაკლდნენ ნიჭიერი ჩოგბურთელები. შეიძლება უფრო ნიჭიერებიც, ვიდრე ჩვენი დღევანდელი ლიდერები არიან. სამწუხაროდ, ისინი დიდ, დაუღალავ, თუ გნებავთ, მაღალეფექტურ შრომას გაურბოდნენ და სამუდამოდ დარჩნენ... იმედის მომცემთა შორის.

ზემოთ ვთქვი და ვიმეორებ, რომ გაბრიჩიძე უდავოდ ნიჭიერი ჩოგბურთელია, მაგრამ ბევრი ხარვეზი უნდა დაძლიოს მომავლისთვის, დიდ იმედებს ვამყარებთ ლეილა მესხზეც, შესაშური შრომისმოყვარეობის სპორტსმენზე.

სპეციალისტები ყურადღებით აკვირდებიან ირაკლი მეტრეველის ზრდას. ნიჭიერი, კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე ჩოგბურთელია, მაგრამ მეტი უნდა იმუშაოს ტექნიკურ სრულყოფაზე. გაუგებარია, მაინც ვინ არის მისი მწვრთნელი — ჩახუნაშვილი, მძინარიშვილი, ქობალია თუ ბაქში? ისე არ გამოვიდეს, „შვიდ ძიძას ბალღი უთვალოდ დაურჩაო".

არ შეიძლება აქ არ მოვიხსენიოთ დათო კაჭარავა და გია ლეჟავა, უდავოდ პერსპექტიული ჩოგბურთელები.

დიდ სპარტაკიადამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა. თუ სპორტსმენები და მწვრთნელები უფრო მეტი გულისყურით, კეთილსინდისიერებით მოეკიდებიან საქმეს საქართველოს სპორტკომიტეტისა და განათლების სამინისტროს უშუალო ჩარევით და დახმარებით, მაშინ შეიძლება ფიქრი წარმატებაზე, კერძოდ, როგორც ვაჟებს, ისე ქალებს შეუძლიათ საპრიზო ადგილებისათვის იბრძოლონ.

**თემურ კაკულია,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

# I ლიგა

8 მაისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VIII ტურის კალენდარული მატჩები.

**„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:2 (0:0)**

ვოროშილოვგრადი. „ავანგარდის“ სტადიონი. 8 მაისი.

„ზარია“: ჩისტიაკოვი, ფედიუშჩენკო, ტარასენკო, იარმოლიჩი, სოროკალეტი, კობზარევი, იაროშენკო, მალიშჩენკო, იურჩენკო, გამულა (ზოჩჩენკო), ბობკოვი.

„ტორპედო“: ტყებუჩავა, კოსტავა, ფრუიძე, კურტანიძე, დოჩია, ჯოხაძე, კორძალიძე, კერესელიძე (ვასაძე), შენგელია (მანაგაძე), თვარაძე (ლოგუა), კვერნაძე.

მსაჯი ა. ბოგომაზოვი (ფრუნზე).

დუბლიორები — 1:1.

ტორპედოელმა ფეხბურთელებმა დიდი მონდომების შედეგად მეტოქის მინდორზე საგრძნობ უპირატესობას მიაღწიეს. „ზარიას“ მცველები ძლივს უმკლავდებოდნენ მათს ხშირ იერიშებს და თუ სტუმრებმა პირველ ნახევარში ვერ მიაღწიეს წარმატებას, ეს მხოლოდ არაზუსტი გადამწყვეტი დარტყმებით შეიძლება აიხსნას. აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა თვარაძემ, შემდეგ კარგი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან შენგელიამ, ჯოხაძემ, კორძალიძემ. მასპინძლებმა სულ ერთადერთი სახიფათო ვითარება შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ ამ რთულ სიტუაციაში თავგანწირულად ითამაშა ფრუიძემ.

შესვენების შემდეგ ვოროშილოვგრადელებმა საგრძნობლად გაძლიერეს იერიში, რამდენიმე სწრაფი კონტრშეტევაც განახორციელეს, მაგრამ ტორპედოელებიც ძლიერად, შემართებით თამაშობდნენ.

58-ე წუთზე „ზარიას“ ერთ-ერთი კონტრიერიში გოლით დაამთავრა იურჩენკომ. ამის შემდეგ ქუთაისელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შეტევები, თამაში მთლიანად მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს, რასაც სულ მალე სასურველი შედეგიც მოჰყვა: 77-ე წუთზე კარგად ითამაშა ვასაძემ და ანგარიში გაათანაბრა, 83-ე წუთზე კი მასპინძელთა მეკარემ თავის საჯარიმო მოედანზე წააქცია გარღვევაზე გასული კვერნაძე. ა. ბოგომაზოვმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი, რომელიც ზუსტად დაარტყა კორძალიძემ — 2:1. ქუთაისის „ტორპედომ“ სტუმრად ღირსეული გამარჯვება მოიპოვა.

**ბექან ნამიჩეიშვილი.**
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

### სხვა შეხვედრები:

ამ დღეს ლანჩხუთის „გურია“ ლვოვში დამარცხდა ადგილობრივ ასკ „კარპატისთან“ შეხვედრაში — 0:2, ხოლო ბათუმის „დინამომ“ ვორონეჟში ასეთივე ანგარიშით წააგო „ფაკელთან“.

ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — ასკ (ხაბაროვსკი) 2:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:2, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ზვეზდა“ (ჯიზაკი) 1:0, „დაუგავა“ (რიგა) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ირტიში“ (ომსკი) 3:1.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 12 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ | 8 | 5 | 3 | 0 | 17-5 | 13 |
| „ფაკელი“ | 7 | 6 | 0 | 1 | 10-3 | 12 |
| „პამირი“ | 8 | 5 | 1 | 2 | 10-8 | 11 |
| „ყუბანი“ | 8 | 5 | 0 | 3 | 14-6 | 10 |
| „ლოკომ.“ | 7 | 4 | 2 | 1 | 9-3 | 10 |
| „კოლოსი“ | 8 | 3 | 4 | 1 | 8-7 | 10 |
| „ტორპედო“ ქ. | 8 | 4 | 1 | 3 | 15-10 | 9 |
| „დინამო“ ბ. | 8 | 3 | 3 | 2 | 8-8 | 9 |
| „დაუგავა“ | 7 | 3 | 2 | 2 | 14-9 | 8 |
| „კუზბასი“ | 7 | 3 | 1 | 3 | 8-5 | 7 |
| „როტორი“ | 8 | 3 | 1 | 4 | 13-14 | 7 |
| „სპარტაკი“ | 8 | 3 | 1 | 4 | 9-12 | 7 |
| „ისკრა“ | 8 | 2 | 3 | 3 | 5-10 | 7 |
| „ზვეზდა“ | 8 | 3 | 0 | 5 | 4-6 | 6 |
| ასკ „კარპატი“ | 7 | 2 | 2 | 3 | 4-5 | 6 |
| „შინიკი“ | 8 | 2 | 2 | 4 | 8-10 | 6 |
| „ნისტრუ“ | 8 | 2 | 2 | 4 | 5-15 | 6 |
| „გურია“ | 8 | 1 | 4 | 3 | 6-13 | 6 |
| „ირტიში“ | 7 | 1 | 3 | 3 | 3-6 | 5 |
| ასკ ხ. | 7 | 1 | 3 | 3 | 4-11 | 5 |
| „ტავრია“ | 8 | 0 | 5 | 3 | 5-9 | 5 |
| „ზარია“ | 7 | 0 | 3 | 4 | 5-9 | 3 |

# II ლიგა

10 მაისს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების V ტურის კალენდარული შეხვედრები.

ჩვენი ტყიბულელი კორესპონდენტი ე. ბაქრაძე გვატყობინებს ადგილობრივი „მეშახტისა“ და გორის „დილის“ მატჩის თაობაზე:

ამ დღეს ტყიბულში გაიმართა ზონის შეჯიბრების გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი, მაყურებლები საკმაოდ დაესწრნენ მატჩს, თამაში საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მართალია, „მეშახტემ“ მარცხი განიცადა, მაგრამ გუნდის გულშემატკივრები უკმაყოფილონი არ დარჩენილან, მასპინძლებს მრავალი ხელსაყრელი შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები ან უზუსტო იყო, ან ბურთს უფლებოდა „დილის“ მეკარე ახალაძე, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა მატჩი.

შეხვედრის ბედი გადაწყდა 78-ე წუთზე, როცა დალაქიშვილის წამოწყებული კომბინაცია გააგრძელა ესთაევმა და ზუსტად დაამთავრა ტიტვინიძემ — 1:0.

საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები მიიღეს ტყიბულელმა თოდაძემ და გორელმა ბორლაშვილმა. პირველი გატანილი ბურთისთვის ჯილდო დაიმსახურა, აგრეთვე, ტიტვინიძემ.

ტურის სხვა შედეგები: „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 2:0, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 2:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0, „ოლიმპია“ (არტაშატი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:1.

**გათამაშების ცხრილი**

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 12 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხოზჩი“ | 5 | 4 | 0 | 1 | 6-3 | 8 |
| „კოტაიკი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 9-2 | 6 |
| „მერცხალი“ | 5 | 3 | 0 | 2 | 4-2 | 6 |
| „დილა“ | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 6 |
| „კოლხეთი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 5 |
| „შირაკი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 4-1 | 5 |
| „ქიაფაზი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 7-5 | 5 |
| „ავტომობილ.“ | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 5 |
| „ყარაბახი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 4 |
| „სპარტაკი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 4 |
| „არაზი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 4 |
| „ლოკომოტ.“ თბ. | 5 | 2 | 0 | 3 | 5-6 | 4 |
| „ლოკომოტ.“ ს. | 5 | 2 | 0 | 3 | 3-5 | 4 |
| „ხაზარი“ | 5 | 1 | 1 | 3 | 1-6 | 3 |
| „დინამო“ ს. | 4 | 1 | 1 | 2 | 2-8 | 3 |
| „ოლიმპია“ | 5 | 1 | 1 | 3 | 2-8 | 3 |
| „მეშახტე“ | 4 | 0 | 1 | 3 | 1-5 | 1 |

# საქართველოს პირველობა

### I ჯგუფი

**9 მაისს** გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, IX ტურის კალენდარული მატჩები.

**აღმოსავლეთი ზონა.** „ივერია“ (ხაშური) — „შევარდენი“ (თბილისი) 1:2, „თორი“ (ბორჯომი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 0:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „კახეთი“ (თელავი) 0:1, „სპარტაკი“ (ცხინვალი)— „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:3, „არმაზი“ (მცხეთა)—„არაგვი“ (დუშეთი) 2:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:2, „იმედი“ (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:0, „სამგორი“ (გარდაბანი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 3:1.

**დასავლეთი ზონა.** „მზიური“ (გალი) — „გიგანტი“ (ლაითური) 5:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:3, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სულორი“ (ვანი) 1:0, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 0:0, „დინამო“ (გაგრა) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 3:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:1, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:0, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 1:1.

წყალტუბოს „შადრევანისა“ და ჩხოროწყუს „სამეგრელოს“ გამოტოვებული მატჩი მოიგო „შადრევანმა“ — 3:1.

**გათამაშების ცხრილები**

**აღმოსავლეთი ზონა**

მდგომარეობა 12 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მადნეული“ | 8 | 5 | 3 | 0 | 16-9 | 13 |
| „ავტომობ.“ | 7 | 6 | 0 | 1 | 15-6 | 12 |
| „მეტალურგი“ | 8 | 5 | 2 | 1 | 16-7 | 12 |
| „შევარდენი“ | 7 | 5 | 1 | 1 | 12-5 | 11 |
| „კახეთი“ | 8 | 5 | 1 | 2 | 10-3 | 11 |
| „ივერია“ | 9 | 5 | 1 | 3 | 15-11 | 11 |
| „დურუჯი“ | 9 | 4 | 3 | 2 | 6-6 | 11 |
| „სპარტაკი“ | 9 | 4 | 2 | 3 | 19-12 | 10 |
| „არმაზი“ | 8 | 3 | 4 | 1 | 18-10 | 10 |
| „იმედი“ | 8 | 3 | 3 | 2 | 14-7 | 9 |
| „ჰერეთი“ | 8 | 2 | 3 | 3 | 7-7 | 7 |
| ფიზკ. ინსტ. | 9 | 1 | 4 | 4 | 7-14 | 6 |
| „არაგვი“ | 9 | 2 | 1 | 6 | 9-16 | 5 |
| „ალაზანი“ | 9 | 2 | 1 | 6 | 7-18 | 5 |
| „თორი“ | 9 | 0 | 4 | 5 | 6-15 | 4 |
| „სამგორი“ | 8 | 1 | 1 | 6 | 6-25 | 3 |
| პოლ. ინსტ. | 9 | 0 | 2 | 7 | 8-20 | 2 |

**დასავლეთი ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ ზ. | 9 | 6 | 2 | 1 | 19-12 | 14 |
| „მზიური“ | 9 | 5 | 3 | 1 | 18-9 | 13 |
| „შადრევანი“ | 9 | 4 | 4 | 1 | 15-9 | 12 |
| „საპოვნელა“ | 9 | 5 | 1 | 3 | 18-11 | 11 |
| „მალაროელი“ | 9 | 3 | 5 | 1 | 9-6 | 11 |
| „დინამო“ გ. | 9 | 4 | 2 | 3 | 14-10 | 10 |
| „სულორი“ | 9 | 4 | 2 | 3 | 12-9 | 10 |
| „მეტალურგი“ | 9 | 3 | 4 | 2 | 11-6 | 10 |
| „ამირანი“ | 9 | 4 | 1 | 4 | 11-11 | 9 |
| „გიგანტი“ | 9 | 4 | 0 | 5 | 11-14 | 8 |
| „სქური“ | 9 | 3 | 2 | 4 | 9-12 | 8 |
| „სალხინო“ | 9 | 2 | 4 | 3 | 12-19 | 8 |
| „კოლხეთი“ | 9 | 3 | 1 | 5 | 14-19 | 7 |
| „ბახმარო“ | 9 | 3 | 1 | 5 | 7-15 | 7 |
| „სამეგრელო“ | 9 | 2 | 3 | 4 | 8-9 | 7 |
| „ეგრისი“ | 9 | 2 | 3 | 4 | 10-12 | 7 |
| „საირმე“ | 9 | 2 | 1 | 6 | 11-17 | 5 |
| „იმერეთი“ | 9 | 1 | 3 | 5 | 7-16 | 5 |

**ევროპული ტურნირები**

# „ანდერლეხტი“—„ტოტენჰემი“ 1:1

**9 მაისს** ბრიუსელში გაიმართა უეფა-ს თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი ადგილობრივ „ანდერლეხტსა“ და ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ შორის. მას შემდეგ, რაც ნახევარფინალში თითქმის შეუძლებელი შეძლეს და „ნოტინგემ ფორესტთან“ საპასუხო შეხვედრაში დამაჯერებელი რევანში აიღეს (3:0), ბელგიელები ფავორიტებად ითვლებოდნენ. მით უმეტეს, რომ პირველ მატჩს „ანდერლეხტი“ საკუთარ მინდორზე მართავდა და გულშემატკივართა მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა. რაკი მაყურებელი ვახსენეთ, ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ტრიბუნების კარგა მოზრდილი ნაწილი ეკავათ ინგლისიდან ჩასულ ქომაგებს, რომლებიც თამაშის პირველივე წუთებიდან აქტიურად შეებნენ ადგილობრივ გულშემატკივრებს. პოლიციასა და საექიმო სამსახურს დიდი ჯაფა დაადგათ — მთელი მატჩის განმავლობაში სანიტრებს საკაცეებით გაჰყავდათ დაშავებული და დაჭრილი მაყურებლები.

„ტოტენჰემ ჰოტსპურს“ აკლდა ორი ძირითადი მოთამაშე — არდილესი და ჰოდლი, რაც, წესით, საგრძნობი დანაკლისი უნდა ყოფილიყო სტუმრებისათვის. ძნელი სათქმელია, როგორ ითამაშებდა „ტოტენჰემი“, მინდორზე ზემოხსენებული წყვილიც რომ გამოსულიყო, მაგრამ ლონდონელებმა ულიდერებოდაც ბრწყინვალედ გაართვეს თავი რთულ ამოცანას და სასურველ შედეგს მიაღწიეს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ანდერლეხტმაც“ ულიდეროდ დაიწყო მატჩი — ვერკაუტერენი მხოლოდ მეორე ტაიმში გამოვიდა მოედანზე.

შესვენებამდე გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ მასპინძლებს, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ შიფო და დე გრეეფი. უაღრესად სახიფათო გახლდათ ინგლისელთა კონტრშეტევებიც. სახიფათო მომენტები ორივე კართან დაახლოებით თანაბარი რაოდენობით შეიქმნა. მაგრამ მათ გამოყენებას ხან მცველთა კარგი თამაში უშლიდა ხელს, ხან კი თავდამსხმელთა უზუსტო მოქმედება.

მეორე ტაიმში ისედაც სწრაფი ტემპი კიდევ უფრო გაიზარდა. ინგლისელთა შეტევები სულ უფრო სახიფათო ხდებოდა. ერთ-ერთი ასეთი შეტევა (58-ე წუთზე) დამთავრდა კუთხურით, რომელიც „ტოტენჰემმა“ შესანიშნავად გამოიყენა: რობერტსმა მცველებს საჰაერო ბრძოლა მოუგო და თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ ორივე გუნდს ჰქონდა მეტოქის კარის აღების არაერთი შესაძლებლობა, მაგრამ მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, ტაბლოზე კი 0:1 ენთო. თამაშის დამთავრებას ხუთი წუთი აკლდა, როცა ერთ-ერთი ბელგიელის დარტყმა უხერხულად მოიგერია „ტოტენჰემის“ მეკარე პარკსმა, რაც კარგად გამოიყენა ოლსენმა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

სტუმრად მიღწეული ფრე „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ საპასუხო მატჩში წარმატების იმედს აძლევს.

**უცხოეთის ამბები**

# ჩემპიონატები, თასები

**ესპანეთი**

ზედიზედ მეოთხე წელია, ამ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს არავის უთმობენ ბასკი ფეხბურთელები. 1981 და 1982 წლებში უძლიერესი იყო სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადი“, შარშან და წლეულს კი ოქროს მედლები ბილბაოს „ატლეტიკმა“ მიიღო. ახლახან დამთავრებული ეროვნული პირველობის ბოლო, XXXIV ტურში ჩემპიონობის ორივე ძირითადმა მაძიებელმა („ატლეტიკმა“ და მადრიდის „რეალმა“) ერთნაირი ანგარიშით (2:1) მოიგო თავისი შეხვედრები. პირველმა შინ სძლია „რეალ-სოსიედადს“, მეორემ კი სტუმრად — „ესპანიოლს“ (ბარსელონა). საბოლოო ანგარიშით „ატლეტიკმა“ და „რეალმა“ ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს, მაგრამ ოქროს მედლების ბედი ამ გუნდების პირადმა შეხვედრებმა გადაწყვიტა (2:1 და 1:1).

„ატლეტიკი“ ჩემპიონის ტიტულით როდი დაკმაყოფილდა. ეროვნული თასის გათამაშების ფინალურ მატჩში, რომელიც მადრიდში გაიმართა, მან „ბარსელონა“ დაამარცხა (1:0) და „დუბლი“ გააკეთა.

გაგაცნობთ ეროვნული პირველობის უძლიერეს ხუთეულს.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ატლეტიკი“ (ბილბაო) | 34 | 53:30 | 49 |
| „რეალი“ (მადრიდი) | 34 | 59:37 | 49 |
| „ბარსელონა“ | 34 | 62:28 | 48 |
| „ატლეტიკო“ (მად.) | 34 | 53:47 | 42 |
| „ბეტისი“ (სევილია) | 34 | 45:40 | 38 |

**საფრანგეთი**

ჩემპიონის ოქროს მედლები ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მოიპოვეს ბორდოს „ჟირონდის“ ფეხბურთელებმა, რომლებმაც უკანასკნელ, XXXVIII ტურში სტუმრად სძლიეს „სტად რენს“ — 2:0. „მონაკომ“ შინ დაამარცხა „ნანტი“ (3:0) და მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობის გამო დაკარგა პირველი ადგილი. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდა ნაკლებად ცნობილ „ოსერს“.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჟირონდა“ | 38 | 72:33 | 54 |
| „მონაკო“ | 38 | 58:29 | 54 |
| „ოსერი“ | 38 | 59:33 | 49 |
| „პარი-სენ-ჟერმენი“ | 38 | 56:37 | 47 |
| „ტულუზი“ | 38 | 57:41 | 45 |

**იტალია**

ეროვნული პირველობის დამთავრებამდე კიდევ ერთი ტური რჩება, მაგრამ ჩემპიონის ვინაობა უკვე ცნობილია. ბოლოსწინა, XXIX ტურში ტურინის „იუვენტუსმა“ შინ ფრედ (1:1) ითამაშა „აველინოსთან“ და მიუწვდომელი გახდა მდევრებისთვის.

ლიდერთა სამეული:

| | | | |
|---|---|---|---|
| „იუვენტუსი“ | 29 | 56:27 | 43 |
| „რომა“ | 29 | 45:26 | 39 |
| „ფიორენტინა“ | 29 | 48:31 | 35 |

**ბელგია**

ბრიუსელში გაიმართა ეროვნული თასის გათამაშების ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ II ლიგის კლუბი „გენტი“ და ლიეჟის „სტანდარდი“. თამაშის ძირითადი დრო ფრედ (0:0) დამთავრდა, დამატებით ნახევარ საათში „გენტმა“ შეძლო ორი ბურთის გატანა და ბელგიის თასი დაისაკუთრა.

# მენოტი გადადგა

**ესპანეთის** საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ უფროსი მწვრთნელი, ცნობილი არგენტინელი სპეციალისტი სესარ ლუის მენოტი გადადგა. მის კონტრაქტს ვადა გაუდის 30 ივნისს, მენოტიმ კი, როგორც თვითონ განაცხადა, ხელშეკრულება ახალი ვადით აღარ განაახლა.

სხვათა შორის, ამას წინათ ბარსელონის ერთ-ერთმა გაზეთმა თავის მკითხველებს ასეთი შეკითხვით მიმართა: „რა ზომებს მიმართავდით „ბარსელონას“ ძველი პრესტიჟის აღსადგენად?“. რედაქციამ მალე მიიღო პასუხები. კლუბის ქომაგთა უმეტესობა კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ საჭიროა უფროსი მწვრთნელის პოსტიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უფროსი მწვრთნელი სესარ ლუის მენოტი, ამას გარდა, საგრძნობლად შეუმცირონ ხელფასი მწვრთნელის თანამემამულეს, „ბარსელონას“ წამყვან ფეხბურთელს დიეგო მარადონას.

მენოტის გადადგომის თაობაზე უცხოეთის საფეხბურთო წრეებში ახლა ბევრს ლაპარაკობენ. ესპანეთის პრესა საგანგებოდ ხაზს უსვამს იმას, რომ რაც არგენტინელი სპეციალისტი მიიწვიეს, მას შემდეგ კი 2 წელი გავიდა, ესპანეთის ყველაზე მდიდარმა საფეხბურთო კლუბმა „ბარსელონამ“ ვერა და ვერ მოიპოვა თავისი ქვეყნის ჩემპიონობა, ის კი არა და ესპანეთის თასის ფინალური მატჩიც წააგო ბილბაოს „ატლეტიკთან“.

ასეა თუ ისე, მენოტი ბარსელონიდან წავიდა, მაგრამ უსაქმოდ არ დარჩენილა. იგი სასწრაფოდ მიიწვია ბრაზილიის „ფლამენგოს“ (რიო-დე-ჟანეირო) ხელმძღვანელობამ. ბრაზილიის ამ კლუბს მენოტი მომავალ სეზონში ჩაუდგება სათავეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადებას

**ბერლინი, 10 მაისი.** (საკდესი). გდრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამ ქვეყნის სპორტსმენები ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას არ მიიღებენ. „ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო სპორტსმენთა პატიოსნების, ღირსებისა და სიცოცხლის დაცვის ინტერესები, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლოს-ანჯელესმა ვერ შექმნა ნორმალური პირობები გდრ-ისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებისთვის", — ნათქვამია გდრ-ის ოლიმპიური კომიტეტის განცხადებაში.

გდრ-ის სპორტსმენები რამდენიმე წლის მანძილზე დიდი მონდომებით ემზადებოდნენ ლოს-ანჯელესის თამაშებისთვის, რათა ამ ასპარეზობაში თავიანთი სამშობლოს ღირსეული წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. მაგრამ, ხაზგასმით არის აღნიშნული განცხადებაში, — აშშ-ის ადმინისტრაციის გამუდმებული პოლიტიკური ჩარევა ოლიმპიადისათვის მზადებაში, ოლიმპიური ქარტიის განუწყვეტელი დარღვევა ორგანიზატორთა მხრიდან სერიოზულ საფრთხეს უქმნის შეჯიბრებაში ჩვენს სპორტსმენთა მონაწილეობას თანასწორ და პატიოსნურ პირობებში. გდრ-ის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მრავალგზის მიმართა ლოს-ანჯელესის თამაშების ორგანიზატორებს ამის თაობაზე, მაგრამ ყველა ეს მიმართვა უპასუხოდ დარჩა. სწორედ ამიტომ ამბობენ უარს ჩვენი სპორტსმენები ლოს-ანჯელესის თამაშებზე.

**სოფია, 10 მაისი** (საკდესი). 9 მაისს ბულგარეთის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ლოს-ანჯელესის XXIII ოლიმპიური თამაშებისათვის ბულგარელ სპორტსმენთა მზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

პლენუმმა ერთსულოვნად გადაწყვიტა, რომ ამერიკის ამ ქალაქში შექმნილი არანორმალური ვითარებისა და ანტისოციალისტური ისტერიის გამო ბულგარელი სპორტსმენები თამაშებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

**ჰავანა, 10 მაისი.** (საკდესი). კუბის ეროვნულმა საინფორმაციო სააგენტომ მხარი დაუჭირა სსრ კავშირის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რომელმაც შეუძლებლად მიიჩნია საბჭოთა სპორტსმენთა მონაწილეობა ლოს-ანჯელესის XXIII ოლიმპიურ თამაშებში.

სააგენტო აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა არაერთგზის მიუთითეს ამერიკის ხელისუფლებას ათასგვარი შოვინისტური მანევრებისა და ალვირახსნილი ანტიკომუნისტური ისტერიის გამო, რაც ამ ბოლო ხანს აშშ-ის რეაქციულმა წრეებმა გააჩაღეს ოლიმპიადასთან დაკავშირებით. მაგრამ აშშ-ის ხელისუფლებამ ეს სამართლიანი გაფრთხილება ყურად არ იღო და კვლავ ცდილობდა ამ დიდი ასპარეზობის პოლიტიკური მიზნით გამოყენებას.

როგორ შეუძლია აშშ-ის ადმინისტრაციას უზრუნველყოს საბჭოთა სპორტსმენთა უსაფრთხოება, როცა ამავე დროს გამალებით ცდილობს გააერთიანოს ყველა ანტისაბჭოთა ელემენტი და პროვოკაციისათვის წააქეზოს ისინი, როცა ამერიკის ტელევიზია ყოველმხრივ ხელს უწყობს ამგვარ გამოხდომებს? სავსებით ნათელია, რომ ასეთ პირობებში ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენთა მონაწილეობა ყოვლად შეუძლებელია, — დასძენს დასასრულ სააგენტო.

**დელი, 10 მაისი.** (საკდესი). საბჭოთა კავშირის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა უარი ეთქვა თამაშებში მონაწილეობაზე, რადგან სხვა შესაძლებლობა აღარ არსებობდა, — აღნიშნავს მთავრობის წრეებთან დაახლოებული ინდოეთის გაზეთი „ნეშნლ ჰერალდი". შეერთებულმა შტატებმა არ გაითვალისწინა ჯერ თვით საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, შემდეგ სოკის მითითებები და ცარიელ დაპირებებს სჯერდებოდა. თამაშებთან დაკავშირებულ ანტისაბჭოურ ისტერიას მხარს უჭერდნენ პირადად რეიგანი და აშშ-ის მთავრობა.

საბჭოთა ქვეყანას არ სურდა უარი ეთქვა ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. საბჭოთა სპორტსმენები მონდომებით ემზადებოდნენ ამ ასპარეზობისთვის. ეს შეერთებული შტატების მთავრობამ ასპარეზობაში მონაწილეობის გარანტიად ჩათვალა და საბჭოთა მხარის განცხადება ყურად არ იღო, — დასძენს გაზეთი.

„ნეშნლ ჰერალდის" მოსაზრებას მხარს უჭერს ინდოეთის მეორე გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსიც". ეს უკანასკნელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უცხო არ არის ოლიმპიადის პოლიტიკური მიზნით გამოყენება. გაზეთის აზრით, საბჭოთა სპორტსმენთა არყოფნა აშკარად დაეტყობა თამაშების დონეს და საგრძნობლად გააუფერულებს ამ დიდ ასპარეზობას.

# პირველი ნაცნობობა რეკორდსმენთან

დასასრული

ტანციაზე. ამ ნაცნობობით ყველაზე კმაყოფილი უნდა იყოს შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ლუტც ჰესლიჰი, რომელმაც 200 მეტრზე გიტში (სვლით) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

სპრინტში ველოსიპედისტი მაქსიმალურ სისწრაფეს ავითარებს ერთკილომეტრიანი მონაკვეთის ბოლო 200 მეტრზე. ასე რომ, გიტი ზოგად წარმოდგენას ქმნის სპრინტერთა მომზადების დონესა და შესაძლებლობებზე. ომარ ფხაკაძემ 1967 წელს მსოფლიო რეკორდი დაამყარა ამ დისტანციაზე (10,61). იგი მაშინ მართლაც ყველაზე სწრაფი ველოსიპედისტი იყო. ფხაკაძის რეკორდმა მთელი 13 წელიწადს იარსება, სანამ შედეგი არ გააუმჯობესა კანადელმა ქ. სინგლეტონმა (10,58).

გუშინწინ თბილისის ველოტრეკზე შეკრებილი მაყურებელი ახალი, ფენომენალური მსოფლიო რეკორდის დაბადების მოწმე გახდა. ლუტც ჰესლიჰმა, რომელიც გარეგნულად არც კი გამოირჩევა სხვებისაგან, ცხოვრებაში ერთობ მორცხვია და თავმდაბალი, 200-მეტრიანი დისტანციის გავლას 10,441 წამი მოანდომა. ასეთი სისწრაფით ღია ველოტრეკზე მსოფლიოში ჯერჯერობით არავის უქროლია (დახურულ ტრეკზე რეკორდი ეკუთვნის საბჭოთა სპრინტერს სერგეი კოპილოვს — 10,242).

რეკორდის დამყარებაზე ამ დღეს ალბათ არავინ ფიქრობდა. შეჯიბრების მონაწილენი მარტივი არითმეტიკით უფრო იყვნენ დაკავებულნი და რბოლაც საკმაოდ დუნედ მიმდინარეობდა.

პირველად მაყურებელი გამოაცოცხლა და გაალიზიანა მიჰაელ ჰიუბნერმა (გდრ), რომელმაც სხვებზე ადრე და, რაც მთავარია, იოლად დააღწია თავი 11 წამის „ტყვეობას" (10,690). მერე ამ შედეგზე იერიში მიიტანა მეორე გერმანელმა დეტლეფ უიბელმა — 10,596. უიბელის დრო ერთხანს მთავარი ორიენტირი იყო დარჩენილი მონაწილეებისთვის.

მარკ გორსკი სტარტზე ოცდამეთორმეტე გამოვიდა. ამერიკელმა მეტად სწრაფი ტემპით დაიწყო რბოლა. მიუახლოვდა კიდეც უიბელის გრაფიკს, მაგრამ ფინიშთან, როგორც ჩანს, დაიღალა. ტემპი მოადუნა და საბოლოოდ მხოლოდ მესამე შედეგი აჩვენა — 10,612. უნაყოფო გამოდგა რალფ კუშის ცდაც, რომ თანაგუნდელს დასწეოდა. მისი დრო (10,734) მეექვსე იყო.

სარეკორდო აღმოჩნდა მხოლოდ ოცდამეთხუთმეტე სტარტი. ლუტც ჰესლიჰი სხვებზე უკეთ „ჩაჯდა" რბოლის რიტმში და ფინიშთანაც მაქსიმალური სისწრაფით მიიჭრა. უმაღლესი მიღწევა სწორედ მაშინ იბადება, როცა რბოლის ყველა კომპონენტი იდეალურ პირობებს ემთხვევა. ამ მხრივ მსოფლიოს ახალ რეკორდსმენს ბედმაც გაუღიმა.

ჰესლიჰის შედეგის გაუმჯობესება შეეძლო მხოლოდ სერგეი კოპილოვს და იგი თითქო ახლოსაც იყო მიზანთან, მაგრამ დისტანციის მეორე ნახევარზე ნერვებმა უმტყუნა და ბოლოს მეოთხე შედეგს დასჯერდა — 10,664.

საქართველოს ველოსიპედისტებიდან პროგრამის ამ სახეობაში ასპარეზობდნენ ოთარ მჭედლიშვილი და ემზარ გელაშვილი. პირველმა VII ადგილი დაიკავა (11,009), მეორემ — XVI (11,339).

„საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის" გათამაშებაში, რომელიც წლეულს მეცხრედ ტარდება, საბჭოთა ველოსიპედისტების გარდა მონაწილეობენ გდრ-ის, ბულგარეთის, აშშ-ის, უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. ამ ტურნირის დიდ საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს ერთი ასეთი ფაქტი: მთავარი ჯილდოსათვის საასპარეზოდ ჩვენს დედაქალაქში ჩამოვიდა მსოფლიოს რვა უძლიერესი სპრინტერიდან ექვსი: ლუტც ჰესლიჰი (გდრ), სერგეი კოპილოვი (სსრ კავშირი), მიხაელ ჰიუბნერი, რალფ კუში (ორივე — გდრ), მარკ გორსკი (აშშ) და ვრატისლავ შუსტრი (ჩეხოსლოვაკია). თბილისში არ არიან მხოლოდ იაპონელები ცუტომუ საკამოტო და კაცუო ნაკატაკე, რომლებიც შარშან მსოფლიო ჩემპიონატში შესაბამისად მეექვსე და მეშვიდე ადგილებზე იყვნენ.

აი, სწორედ ამ ექვს ველოსიპედისტს შორის უნდა გაიმართოს ბრძოლა მთავარი პრიზისათვის, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ფავორიტთა ჰიდილში სხვებმაც მიიღონ მონაწილეობა.

პროგრამის ძირითადი სახეობის პარალელურად კი ტარდება საკავშირო შეჯიბრებები ინდივიდუალურ რბოლაში, 1000 მეტრზე გიტში, ჯგუფურ რბოლასა და სატრეკო ველოსპორტის სხვა სახეობებში.

4 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში საუკეთესი შედეგი აჩვენა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა დიმიტრი დემკოვმა — 4.54,48. მეორე შედეგი ჰქონდა მის თანაგუნდელს ალექსანდრე ვასეკინს — 4.55,18. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველი კილომეტრის შემდეგ ვასეკინი დიდი უპირატესობით იგებდა რბოლას. იგი წინ იყო მეორე კილომეტრის შემდეგაც, მაგრამ მეორე ნახევარში შესამჩნევად დაიღალა და პირველობა თანაგუნდელს დაუთმო. III ადგილზე გავიდა დიმიტრი მიხაილოვი — 5.02,25.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსიპედისტებმა თავი გამოიჩინეს 1000 მეტრზე გიტშიც (ადგილიდან). ჯერ იყო და საუკეთესო შედეგი ჰქონდა ლატვიის გუნდის წევრს ედვინ სილოვს (1,06,797). მერე დაწინაურდა გერმანელი ანდრიას განსკე — 1.06,285. 54 კილომეტრი საათში — ეს ის დროა, რომელიც სავსებით უნდა ეყოს ველოსიპედისტს 1000-მეტრიანი დისტანციის მოსაგებად. და უნდა ითქვას, რომ განსკეს შედეგს ერთხანს არაფერი ემუქრებოდა. მაგრამ ბოლოსწინა რბოლაში მეორე გერმანელმა ველოსიპედისტმა მაიკ მალხოვმა უფრო დიდი სისწრაფე განავითარა — 1.06,160. პირველობისთვის რბოლას წერტილი დაუსვა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ალექსანდრე პანფილოვმა. მას საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა — 1.05,789 (თითქმის 55 კილომეტრი საათში).

შეჯიბრების პირველ დღეს ჩატარდა კიდევ ორი რბოლა. სპრინტერთა საკავშირო ასპარეზობა მოიგო რუდოლფ პრუგლოვმა (შეიარაღებული ძალები), ხოლო ჯგუფური რბოლა 60 წრეზე 12 საშუალედო ფინიშით — ლეონიდ ლებედევმა (სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები).

**ნოდარ გუგუშვილი.**

**გუშინ** საღამოს გამოვლინდა რვა უძლიერესი სპრინტერი, რომლებიც „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზისათვის" ბრძოლას გააგრძელებენ. მეოთხედფინალებში გავიდნენ ლუტც ჰესლიჰი (გდრ), სერგეი კოპილოვი (სსრ კავშირი), მიჰაელ ჰიუბნერი (გდრ), მარკ გორსკი (აშშ), ემზარ გელაშვილი, ალექსანდრე პანფილოვი, სერგეი იგნატოვი (ყველა — სსრ კავშირი) და დეტლეფ უიბელი.



**ხ უ რ ა თ ზ ე:** მსოფლიოს ახალი რეკორდსმენი 200 მ. გიტში (სვლით) ლუტც ჰესლიჰი.

## ელვა-ინფორმაცია

გუშინდელ ლიდერთა რბოლაში ალექსანდრე რომანოვმა (სტაიერი) და ალექსანდრე შოპინმა (ლიდერი) იერიში მიიტანეს მსოფლიო რეკორდზე. ამ შესანიშნავმა წყვილმა 100 კმ 1 საათსა, 11 წუთსა და 46 წამში დაფარა და თითქმის 2 წუთით გააუმჯობესა ძველი მიღწევა. გზადაგზა დამყარდა მსოფლიო რეკორდები 1-საათიან რბოლასა და 50 კილომეტრზე.

## ელვა-ინფორმაცია

### კახა მახარაძის გამარჯვება

**ყაზანში** მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" წევრმა, გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლემ **კახა მახარაძემ ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა ხმლით ფარიკაობაში ჭაბუკთა შორის.** გამარჯვებულმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება დაიმსახურა.

### ისტორია წარმატებებით იწყება

**განათლების** სამინისტროს კრივის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლას (დირექტორი დავით ქვაჰაძე), რომელიც წელს გაიხსნა, უკვე რამდენიმე ჩემპიონი და პრიზიორი ჰყავს. სკოლის აღსაზრდელებმა ამ დღეებში გელენჯიკში (კრასნოდარის მხარე) წარმატებით იასპარეზეს ფაშიზმზე გამარჯვების 39-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საკავშირო ტურნირში, რომელშიც 1969-70 წლებში დაბადებული მოზარდები მონაწილეობდნენ.

ტურნირში საქართველოს წარმომადგენლებიდან პირველი ადგილები დაიკავეს დათო კაზიშვილმა (44 კგ, მწვრთნელი ალექსანდრე ბორტნიკოვი) და ზვიად გეთანაშვილმა (52 კგ, მწვრთნელი გურამ ბუმბიაშვილი), II საპრიზო ადგილზე გავიდნენ კობა კორობაშვილი, იგორ მაკაროვი და არამ მხითარიანი. III ადგილი დაიკავეს ზურაბ ბუმბიაშვილმა და ნუგზარ ტატაროვმა. ამ ასპარეზობისათვის ნაკრები მწვრთნელმა ავთანდილ ჯავახიშვილმა მოამზადა.

## ინფორმაცია

### ორი ეტაპის შემდეგ

**8 მაისს** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში სტარტი აიღო ველოსიპედისტთა ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა მრავალდღიანმა შეჯიბრებამ — „მშვიდობის ველორბოლამ", რომელშიც 18 ქვეყნის 108 სპორტსმენი მონაწილეობს.

II ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობს რააბი (გდრ), გუნდურ ჩათვლაში წინ არის საბჭოთა კავშირის კოლექტივი.

### ბულგარელები ევერესტზე

**დედამიწის** უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის დამპყრობთა სია კიდევ ოთხი გვარით შეივსო. ზღვის დონიდან 8848 მეტრ სიმაღლეზე ავიდა ოთხი ბულგარელი მთამსვლელი — ივან ველჩევი, მეთოდი სავოვი, კირილ დოსკოვი და ნიკოლაი პეტროვი.

8 მაისს ნეპალის მხრიდან მწვერვალზე დასავლეთის თხემით ავიდნენ ველჩევი და სავოვი, რომლებიც იქ 23 წუთს დარჩნენ, შემდეგ კი სამხრეთ-აღმოსავლეთის წიბოთი დაიწყეს დაშვება. იგივე გზა გაიმეორეს დოსკოვმა და პეტროვმა.

ამ დღეებში კიდევ რამდენიმე ბულგარელი მთამსვლელი აპირებს მწვერვალის დალაშქვრას.

### სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. **12 მაისი.** ოქროყანის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „იმედი" (თბილისი).** დასაწყისი 13 ს. 1[illegible] **მაისი.** „სინათლის" სტადიონი. **„ავტომობილისტი" (თბილისი) — „იმერია" (ხაშური).** 15 ს., გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„შევარდენი" (თბილისი) — „თორი" (ბორჯომი).** 18 [illegible]

**რედაქტორი ა. გოგელია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 93-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; კადრების — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით გაზეთო კორპუსში. ხოფარაულის. 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

ИНДЕКС 66435

უე 0973